საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — № 227 — პარასკევი, 10 მაისი 1918 წ — № 227

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ ცნობა, ტრაპიზონსა და ბათომში გერმანელებმა ჯარი გადმოსხესო, სიმართლეს მოკლებულია.—ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობამ მიზანშეწონილად სცნო დროებით დარჩეს რუსეთის კანონები ამიერკავკასიის რესპუბლიკაში: ამის პროექტი მთავრობამ უკვე წარუდგინა სეიმს.—მდ. იორდანეს აღმოსავლეთით სასტიკი ბრძოლა სწარმოებს ოსმალოებსა და ინგლისელებს შორის.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადების ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 30×2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინო ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ნატალია ნიკოლოზის ასული ბარათაშვილისა, ივანე და მიხეილ ნიკოლოზის ძენი კვეზერელი კოპაძენი ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა (23 აპრილს) 6 მაისს მათი დაუვიწყარი რძალი

თამარ ლუკას ასული კვეზერელი კოპაძისა.

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღეს საღამოს 6½ საათზე საკუთარ ბინაზე (კახეთის ქუჩა № 22) გამოსვენება კვირას (29 აპრილს) 12 მაისს, დილის 10 საათზე ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში. 460

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მღვდელი სოკრატ და ეკატერინა, ძმები: დავით, ანდრია და გრიგოლ და ქმარი ხირვანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი საყვარელი შვილის, მეორეთ დაუვიწყარი დის და მესამე ძვირფასი მეუღლის

ელენე სულიაშვილი-ოზანეზოვის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. სურამში, პარასკევს, 10 მაისს, ღვთისმშობლის ეკლესიაში. 153

გულდათუთქული მშობლები ეკატერინე გიორგის ასული და გიორგი ლუკას ძე ბაქრაძე და შვილები: ლუკა, თამარ, პეტრე, მარო, ფიფო და რუსუდან აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი შვილი და და

ელენე გიორგის ასული ბაქრაძე

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება პარასკევს, 10 მაისს, საკუთარ სახლიდან (არაგვის ქუჩა, № 5) 1156

გულმოკლული მეუღლე ილიკო, შვილები ვანო, ნიკო, და მაშო ბერეჟიანი, სიძე ანტონ და ნინო თხელიძენი რძალი თამარ და კატო ბერეჟიანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 11 მაისს ქ. თელავში ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ალავერდის ეპისკოპოს პიროსის მიერ ძვირფასის და დაუვიწყარის

ანასტასია (ტასო) ბერეჟიანის

სულის მოსახსენებლად. 468

სააღდგომოდ გამოვა ჟურნალ „პრომეთეს"

მე-3 ნომერი, შემდეგი შინაარსით:

1. აკაკი პაპავა—„სოლეილდორ", 2. ი. გრიშაშვილი—ლია! 3. კოწია გამსახურდია—ორი სონეტი (1. გრაფ ცეპელინს, 2. ემილ ვერჰარნს), 4. ვ. ბარნოვი—ეშქის მშვენება, 5. ვ. ახვლედიანი—ლასამში ნივთთა (რიგველით), 6. ქ. ჭიჭინაძე—ნარზანის სამეფოში, 7. ს. წვერავა—თილიკო, 8. ექვთიმე თაყაიშვილი—ოყურეშის ეკლესია და მასში დაცული ნივთები, 9. დ. უზნაძე—ორგანიული მსოფლმხედველობა, 10. გარლამ ჩერქეზიშვილი—საქართველოს პარიზის ჰააგის კონფერენციისადმი 1907 წ.

ჟურნალი ეღირება 4 მანეთი ხელზე მყიდველებისათვის. ჟურნალის ყიდვა შეიძლება ტფილისში და პროვინციებში „განათლების სააგენტოებში" ისეთივე კანცელარიაში სთან. პრომეთეს და სახალხო საქმის კანტორაში.

1090 სარედაქციო კოლეგია.

სტუდენტი გიორგი ლაზრიშვილი სწავლობდა ქ. კიევში ტექნიკურ სასწავლებელში, ბინად ცხოვრობდა ქილენსკი ქუჩაზე № 55. ორი თვე გადის, რაც მის შესახებ არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ შეგვატყობინოთ შემდეგი მისამართით: კობიის ქუჩაბანდი (ტუპიკი) № 11, ნინო ლაზრიშვილს. 464

ქართული კლუბი

შაბათს, 28 აპრილს (11 მაისს) 1918 წ.

ნ. დავითაშვილისა და ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება დავით ერისთავის ცნობილი პიესა შაჰაბაზის დროიდან

სამშობლო

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში. 470

ქართული კლუბი

ორშაბათს 13 მაისს (30 აპრილს)

ქართველ მსახიობთა მიერ

დამსახურებულ მსახ. ვ. გამყრელიძის და შ. დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ალ. გუნიასი

გურულების ცხოვრებიდან

ორი გმირი

დრამა 3 მოქ.

1-ლი მოქ. შეთქმულება და ღალატი. მე-2 მოქ. კარჩხალის მთებთან ოსმალოთა განდევნა. მე 3 მოქ. დანაშაულთა სასჯელი.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგე პ. ფრანგიშვილი. რეჟისორი ვანო ბარველი. 1159

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 10 მაისს და ხვალ 11-ს გაიმართება

დიდი წარმოდგენა

კლოუნებისა საუკეთესო არტისტების მონაწილეობით. მონაწილეობენ ალბანასი, ჟაკი, იამოდა-სანი, კლერმონტი და სხვა.

ანონსი: კვირას, 12 მაისს, გაიმართება ორი სადღესასწაულო წარმოდგენა, დღით ბავშვებისათვის დაკლებულ ფასებში. 464

სავალდებულო დადგენილება

საქალ. გადასახადის შესახებ ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებული:

1. სახლის პატრონები, რომელთა სახლი დაფასებულია არა ნაკლებ 10 ათასი მან., ვალდებული არიან ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა გაზეთებში შეიტანონ ყველა დარჩენილი გადასახადი, რომელიც მათზე ირიცხება, როგორც წინა წლების, ისე 1918 წლის პირველი ნახევრის.
2. ვალდებული არიან აგრეთვე ერთი კვირის განმავლობაში შეიტანონ მათზე დარჩენილი ვალი და 1918 წ. პირველი ნახევრის გადასახადი ქ. ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებმა.
3. საქალაქო გადასახადის შემტანნი, რომელნიც არ არიან მოხსენებულნი 1 და 2 მუხლში და აგრეთვე ვისაც გადასახადი აქვთ შემოსატანი წყალსადენის, იჯარის და სხვა. ვალდებული არიან შემოიტანონ ყველა დარჩენილი გადასახადი და 1918 წ. პირველი ნახევრის გადასახადი 1 მაისამდე (ძველი სტილით).
4. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი დასჯილი იქნებიან დანაშაულობათა წესდების მე-29 მუხლის ძალით. 1158

აღმოსავლეთ საქართველოს ეროვნული მომღერალ-მგალობელთა გუნდი

(დაარსებ. 1910 წლიდან)

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით

რომელიც შემდგარია 25—50 კაცისაგან გაწვრთნილი ეროვნულ ტანისამოსშიასრულებს 100-ზე მეტს საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს და საეკლესიო 3 ხმოვან გალობას, დიმ. ღებ. ფ. ქორიძის, ი. რატილის, ძმ. კარბელაშვილების, ნ. ბალანჩივაძის, ალ. კავსაძის და სხვათა მიერ; იღებს მონაწილეობას კონცერტებზე, ბალობაზე, ლხინ-საღამოებზე, სეირნობებზე და სხვა, როგორც ტფილისში ისე პროვინციებშიც. გუნდის მოწვევის შესახებ მოლაპარაკება პირადათ ლოტბარ მიხეილ კავსაძესთან (ქართული ბანკი ტელ. № 170 დილ. 10—2 საათამდე).

გუნდში მიიღებიან გამოცდილნი მომღერალ-მგალობელნი ჯამაგირით. 1077

მეორე ქართულ პოლკის ექიმი

კონსტანტინე (სვიმონ) ვლადიმერის ძე აბაშიძე

ღებულობდა მონაწილეობას ბათომთან ბრძოლაში და მისი არ ისმის არაფერი. გთხოვთ ვინც იცით რაიმე მის შესახებ ან სად იმყოფება, შემატყობინეთ ტფილისში, ყიფიანის ქ. 24. ელისაბედ ვლადიმერის ასულ კარმიასას. 471

პურის ბარათები

პარასკევს 10 მაისს (27 აპრ.) ყველა უბნის საბარათო ბიუროში დაიწყება პურის ბარათების მიცემა მაისისათვის.

პურის ბარათები მიეცემა მხოლოდ სახლის კომიტეტებს. პურის ბარათების მისაღებად საჭიროა მე-3 სერიის სასურსათო (შაქრის) ბარათის და სახლის სარეგისტრაციო უწყების წარდგენა.

თვითეული ბარათი ღირს 25 კაპ.

1117 ქალაქის გამგეობის საბარათო განყოფილება.

ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი

კვირას 12 მაისს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე ქართული კლუბის დარბაზში იწვევს ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კრებას, ყველა დარგიდან.

დღის წესრიგი:

1. მომენტის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი.
2. თუ რა ზომები იქნას მიღებული რომ ბ.ბ. ვაჭარ-მრეწველებზე გაწერილი ფული საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ დაუყონებლივ იქნას შემოტანილი.
3. შეკავშირება ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ერთ კავშირში, რომლის წესდებაც უკვე დამტკიცებულია.
4. არჩევა კავშირის გამგეობისა და სხვა პირთა.

რადგანაც ფრიად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი ბ.ბ. ვაჭარ-მრეწველნი ვალდებულნი არიან აუცილებლად დაესწრონ კრებას. 1155

ტფილისი, 10 მაისი 1918 წ.

ომი და ზავი.

ჩვენ კიდეც რომ გავათავოთ ომი, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ამით საბოლოოდ მივაღწევთ იმ მყუდრო, მშვიდობიან ცხოვრებას, რომელიც ასე ძალიანა სწყურიან ომით მოქანცულსა და დაღლილ ხალხს. ერთხელაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომი ჩვენისთანა პატარა ერების წყალობით არ დაწყებულა და ვერც ჩვენისთანა ერების ცდით გათავდება. ევროპისა და დანარჩენი ქვეყნების უდიდესი იმპერიალისტური სახელმწიფოები ერთმანეთს ედავებიან გავლენასა და ბატონობას. ძველი იმპერიალისტური სახელმწიფო ინგლისი ერთის მხრით და ახლად გამოსული მსოფლიო იმპერიალიზმის გზაზე გერმანია მეორეს მხრით ამ ტიტანიური ბრძოლის პირველი მონაწილენი არიან. ამ სახელმწიფოებს მისდევენ არა ნაკლებ ძლიერი სახელმწიფონი ამერიკა, იაპონია და საფრანგეთი. სანამ ამ მეომარ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობა არ ჩამოვარდნილა, იმისთანა პატარა ერებიც, რანაირიც ჩვენი ერია, თავისდაუნებურად, ჩათრეული იქნებიან მსოფლიო ცეცხლის ქარ-ტეხილში.

გერმანიამ საშინლად დაამარცხა რუსეთი. როგორი ილუზიებიც არ უნდა შეჰქმნან რუსეთის ბოლშევიკებმა, ირთი მაინც ყოველივე ეჭვს გარეშე ჰხდება ყველასთვის, ვისაც არ დაუკარგავია უნარი მოვლენათა ობიექტიური შეფასებისა. რუსეთი ეხლანდელი მსოფლიო ომიდან საშინლად დამარცხებული გამოვიდა. გერმანია ეხლა რუსეთში სტრატეგიულ მიზნებს აღარ ისახავს. იგი პოლიტიკურს კომბინაციებს აწყობს, რათა რუსეთის ყოველ ტერიტორიაზე შეჰქმნას ისეთი პატარ-პატარა სახელმწიფოები, რომლებიც ერთის მხრით რკალივით შემოერტყმიან რუსეთს და დიდი ხნობით ხელს შეუშლიან რუსეთის ხელ-ახლად იმპერიალისტურ ზრდას, მეორეს მხრით გადაიქცევიან გერმანიის ეკონომიური გავლენის ასპარეზად. რუსეთის ტერიტორიაზე გაჩენილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ფატალურის აუცილებლობით გერმანიის ეკონომიური და, მაშასადამე, პოლიტიკური გავლენის ქვეშაც იქნებიან. ეს ნათლად და გარკვეულად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, რათა მოულოდნელად არ ეჩვენოს ის შედეგები, რომლის მოწმენიც, უეჭველია, მახლობელ ისტორიულ მომავალში გავხდებით.

მაგრამ გერმანია ამით არ დაკმაყოფილდება. სანამ მისი მსოფლიო კონკურენტი ინგლისი ცოცხალია, იგი ვერ მოისვენებს, ამიტომ ადვილად შესაძლებელია გერმანიამ ინგლისის მიმართ ისეთივე ნაბიჯების გადადგმა მოისუროს, რანაირიც რუსეთში გადადგა და პოლიტიკური ცეცხლი გაუჩინოს ინგლისის ახალ-შენებს, განსაკუთრებით კი ისეთს ახალ-შენებს, სადაც მუდამ ბუდობდა ერთგვარი უკმაყოფილება ინგლისისადმი. მთელი იმპერიალისტური ძალა ინგლისისა მის ახალშენებშია; მათშივეა დამარხული ძალა მისი შესაძლებელი დამარცხებისა. ამიტომ ადვილად შესაძლებელია გერმანიამ სწორედ ამ მხრით მოუაროს ინგლისს და სწორედ ამ მხრით მოისუროს მისი დამარცხება. ამ მიზნებისთვის ამიერკავკასია დაუფასებელი კუთხე იქნება გერმანიისთვის, რომელიც, ალბათ, კიდეც შეეცდება თავის მიზნებისთვის გამოიყენოს იგი, დამოუკიდებლად იმისა, მოგვწონს ეს ჩვენ თუ არა, გვინდა თუ არა.

შექმნილ პირობებში ჩვენი საზრუნავი მხოლოდ ერთი რამ უნდა იყოს, შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ჩვენი დამოუკიდებლობა უზრუნველ-ყოფილი იქნება მომავლისთვის მაინც და მაინც ჩვენი ქვეყანაც, ხალხიც რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალებული გამოვიყვანოთ იმ მსოფლიო ომიდან, რომელიც ჯერაც არ გათავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულა და ვერც ჩვენი სურვილით გათავდება. ამაზე შორს ჩვენი სურვილები ვერ წავა, რადგანაც დღევანდელს პირობებში ქართველ ერს არ გააჩნია ის ძალა, რომლის მეოხებითაც იგი მეომარ სახელმწიფოთა შორის აქტიურ მომქმედ პირად შეიძლება გამოვიდეს.

კიდევ ერთი საფრთხე

ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა მოწოდებით მიმართა სამურზაყანოსა და აფხაზეთის მშრომელ ხალხს დახმარება აღმოუჩინონ მთავრობას ანარქიისა და იმ უთავბოლო არეულობის ჩაქრობაში, რომელიც აგერ ერთი თვეა ფეხს იკიდებს სამურზაყანოსა და აფხაზეთში და გვიქადის საგრძნობელი საფრთხე დაგვატეხოს თავზე.

ეს საშინელი სენი—ანარქიის სახით რომ ფეხს იკიდებს ჩვენს ქვეყანაში და დრო გამოშვებით ამიერკავკასიის ხან ერთსა და ხან კიდევ მეორე კუთხეში გვევლინება მთელი თავისი საშინელი შედეგებით, — ბოლშევიკებმა გვიანდერძა.

საზოგადოთ ბოლშევიკების გამეფებას თან მოჰყვება ხოლმე ანარქია და ძმათა სისხლის ღვრა: ბაქოელ ბოლშევიკების ავანტიურამ ათიათასამდე უდანაშაულო იმსხვერპლა და შეიძლება მომავალშიც ბევრი უმანკო სისხლი დაიღვაროს.

სამურზაყანოსა და აფხაზეთშიაც მოიდგეს ფეხი ბოლშევიკებმა და თან და თან სამეგრელოსაც ემუქრებიან.

მთელი საშინელება ამ მოვლენისა იმაში გამოიხატება. რომ ეს მახინჯი ფორმა ბოლშევიზმისა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დამყარებულია მტაცებლობასა და ძარცვა-გლეჯაზე—ფეხს იკიდებს სამურზაყანო-სამეგრელოში და მშრომელი ხალხი-ნებსით თუ უნებლიეთ-ებმება ამ ქსელში და ხშირად ხელს უწყობს კიდეც ანარქიის გამეფებას.

რასაკვირველია ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ექნება მთავრობის მოწოდებას და საზოგადოდ პროპაგანდას ხალხში, მაგრამ პროპაგანდასთან ერთად აუცილებლივ საჭიროა ერთგვარი რადიკალური ზომების მიღება იმ პირთა და ჯგუფთა წინააღმდეგ, რომელნიც მზად არიან ცეცხლში გაახვიონ და ათხრებისა და დაღუპვის გზამდე მიიყვანონ საუკეთესო მხარე ჩვენი ქვეყნისა. ცხადია, რომ უმეტესობა მშრომელი ხალხისა სრულებით არ არის დაინტერესებული იმაში, რომ მათი კუთხე გახდეს ავანტიურისტების და მტაცებლების სათარეშო მხარედ, რომ შეგნებული დემოკრატია კარგადა გრძნობს რა დამღუპველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთ მოვლენას და სრულიადაც არ იზიარებს ბოლშევიკების „პოლიტიკას", მაგრამ ხიშტებისა და ზარბაზნების წინ ქედს იხრის. ის გარეშე ძალა, რომელიც ჩრდილოეთიდან შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში ტყვიისმტყორცნელებით და ზარბაზნებით და სიკვდილის შიშით დაემუქრა ხალხს,—განდევნილი უნდა იქმნეს ჩვენი ქვეყნიდან, თუ გვინდა ეს საშინელი სენი სხვა მხარესაც არ მოედოს, ამას ყოველმხრივი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ნორჩი სახელმწიფოსათვის. როგორც შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლად, ისე საგარეო პოლიტიკის უფრო მტკიცე და საფუძვლიან ნიადაგზე დამყარებისათვის.

დრო არის ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი განთავისუფლებული იქმნეს მავნე პირებისაგან და ერთხელ და სამუდამოდ ვიცოდეთ ნამდვილი—რეალური საზღვრები ჩვენი ქვეყნისა.

მოწოდებასა და პროპაგანდასთან ერთად—ძალაც უნდა ავამოძრაოთ. სიტყვას—საქმე უნდა ამშვენებდეს. მხოლოდ მაშინ შევძლებთ ავიცდინოთ თავიდან ის საშინელი მომავალი, რომელიც ცეცხლითა და მახვილით მოევლინოს ჩვენს ქვეყანას და ადვილი შესაძლებელია ჩვენს დამოუკიდებელ არსებობასაც გაუთხაროს სამარე.

კოკი აბაშიძე.

ქართული პრესა

განახლებულ საზავო მოლაპარაკების შესახებ სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა" სწერს:

„ჩვენ უძლურნი გამოვდექით ბოლშევიკების მიერ ბრესტში შეკრულ სამარცხვინო ზავის დამღუპველი შედეგები მოგვესპო და ძლიერი ამიერკავკასია უზრუნველ გვეყო. ამიერ[illegible] ომის საზავო მოლაპარაკება ბრესტის ხელშეკრულების ნიადაგზე სწარმოებს და ამ ხელშეკრულობის ჩარჩოებში მომწყვდეული. ჯერ ამისა ოსმალეთის ჯარი საქართველოს გულშია შემოჭრილი, მას გურიის ნაწილი უჭირავს, რადგან დროებითი შეიარაღების ჩამოგდებამდე ჩვენ ვერ მოვასწარით დაგვემთავრებინა ის ოპერაცია, რომელსაც ოზურგეთის მაზრის გაწმენდა ჰქონდა მიზნად დასახული. ცხადია, ოსმალეთი ეცდება გამოიყენოს მის სასარგებლოდ შექმნილი მდგომარეობა და საზავო მოლაპარაკების დროს უფრო ულმობელი იქნება, ვინემ ეს ზოგიერთ გულუბრყვილოს გონია. ეს მით უფრო საფიქრებელი და მოსალოდნელია, რომ შინ მოვალმა ხალხის მტერმა იჩინა თავი: ჩვენ ვამბობთ ბაქოს, სოხუმის და ახალციხის ამბებზე. ბაქოში და სოხუმში ბოლშევიკები მუშაობენ ძ თავის გარშემო კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს იკრებენ, თუმცა სოციალისტურ დროშის ქვეშ მოქმედებენ. ახალციხის მაზრაში ნამდვილი ომია გაჩაღებული: გვებრძვიან ჩვენი „ძმები", ახალციხის მაზრის გამაჰმადიანებული ქართველები. ესენი აშკარად და გარკვევით არ აცხადებენ თავის სურვილებს, მაგრამ საომარი წესით ბორჯომისკენ მოიწევენ და აქედან ძნელი არ არის შესაფერი დასკვნის გამოყვანა: მათ სურთ მთელი ახალციხის მაზრა და გორის მაზრის ნაწილი ბორჯომის ძვირფას მამულებით ხელში ჩაიგდონ და საზავო მოლაპარაკების დროს უკვე მომხდარ ფაქტის წინაშე დაგვაყენონ. ოსმალეთი ოფიციალურად, რასაკვირველია, ახალციხის ამბებში არ ერევა, მაგრამ, თუ „შინაურებმა" აქ დაგვამარცხეს, ის იძულებული გახდება „წესიერება" დაამყაროს და „სამართლიანობას" გამოესარჩლოს, ე. ი. ბათომ-ყარს-არტაანის ოლქებს, რომლებიც მათ ბოლშევიკებმა დაუთმეს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიც ზედ მიაყოლოს".

გაზეთს ერთად-ერთს სახსნელ გზად მიაჩნია რეალური ძალის შექმნა, ისეთი ძალისა, რომელსაც ანგარიშს გაუწევს როგორც შინაური, ისე გარეშე მტრები.

„ვიმეორებთ, ამ მხრით ერთობ მძიმე და უნუგეშო პირობებში სწარმოებს ბათომის საზავო მოლაპარაკება. მაგრამ დღეს ერთი უპირატესობა გვაქვს ისეთი, რომელსაც ტრაპიზონის მოლაპარაკების დროს მოკლებული ვიყავით: ეს უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ხალხს დღეს კარგად აქვს წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავს შეიარაღებულ ძალის უქონლობა და მტრისათვის უბრძოლველად კარების გაღება. მართალია, ხალხის გამარცვლაში ადგილობრივმა ნაძირალებმაც მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ ეს სულ ერთია: სწორედ მტრის შემოსვლამ მისცა საშუალება, როგორც მოსულთ, ისე შინაურ ნაძირალებს ხალხის, სარჩო-საბადებელი დაეტაცნათ და ამრიგად არ გამართლდა ბოლშევიკ აგიტატორების ქადაგება, მობილიზაციის წინააღმდეგ მიმართული—ოსმალეთთან ომი იმპერიალისტების საქმეა, ოსმალეთის მოსვლით ბურჟუები დაზარალდებიანო.

ამნაირად, ძლიერი ჯარის შექმნა დღიურ წესრიგშია დასმული და მისი მნიშვნელობის გაქარწყლება არავითარ დემაგოგიურ ფრაზებით არ შეიძლება. მართალია, ჩვენ უძლურნი ვართ საერთაშორისო ურთიერთობაში, ჩვენ ვერ შევცვლით საერთაშორისო მდგომარეობას იმ დროს, როცა გერმანია და მისი მოკავშირენი რკინის სალტესავით გვერტყმიან გარს, მაგრამ ჩვენი ფიზიკური არსებობის შერჩენა და წესიერების დამყარება იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკას შერჩა, აუცილებელიც არის და შესაძლებელი.

ამიტომ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, მთელი ენერგია ამ ჟამად სამხედრო ძალის შექმნას უნდა მოვახმაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საშინელი მონობის უღელი მოგველის".

სომხური პრესა

(შავი აღდგომა. ახალი გზის ძებნაში)

აღდგომის ნომერში „მშაკი" სწერს, რომ ეს აღდგომა „შავი აღდგომაა" სომხის ერისათვის, რომ „სომხობას აღდგომის დღესასწაული [illegible] მხოლოდ ტირილი და მწუხარება, რადგანაც ჯვარცმული, რომელიც დღეს მთელი სომხის ერია, ჯერ არ აღმდგარა".

ასე გოდებს და მოთქვამს გაზეთი წლევანდელ აღდგომას. შარშან კი იგივე გაზეთი დიდი ზეიმით მიეგება ქრისტიანობის უდიდეს დღესასწაულს, რადგანაც მთელ სომხობასთან ერთად იმედი ჰქონდა, რომ სომხის ერის პოლიტიკური იდეალები ხორცს შეისხამდა და სინამდვილედ იქცეოდა. მაგრამ იმედი დაიმსხვრა და დღეს სომხის ერს სასოწარკვეთილებისათვის მიუცია თავი.

ურემი რომ გადაბრუნდება გზა მას უკან გამოჩნდებაო, ნათქვამია. სომხის ერის პოლიტიკური გზა ამ უკანასკნელ ხანებში პირდაპირ საბედისწერო შეიქმნა სომხობისათვის, და როცა სომხეთის აღდგენისა და კულტურულ პოლიტიკურად განახლების იდეალები სამოლოდ დაიმსხვრა, მაშინ შეუდგნენ ახალი გზის ძებნას. მაგრამ ახალი გზა რომ სწორედ იყოს არჩეული, საჭიროა ურმის გადაბრუნების მიზეზები სავსებით იყოს გათვალისწინებული. რამ მიიყვანა სომხობა უფსკრულის კარამდე? ამ კითხვის პასუხს კაცი თვით სომხურ მწერლობაში იპოვის. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთს სათავეში კერენსკის მთავრობა ედგა, პროფესორმა ელიაზარიანმა რამოდენიმე წერილი მოათავსა „მშაკში", სადაც ის ცხარედ და სასტიკად ჰგმობდა სომხის ერის პოლიტიკის მესვეურებს, რომელნიც პროფესორის სიტყვით, კავკასიის გარეშე მყოფ ძალაზე დაყრდნობის იმედით, რომ ფრონტზე აჩაღებდნენ ბრძოლას: ოსმალეთისა, ქურთებისა, ქართველებისა და ადარბაგნელი თურქების წინააღმდეგ. მეზობლებთან მორიგება და მათთან საერთო ჭირი და ლხინი კი არა, არამედ მათთან ბრძოლა უცხო ძალის, რუსობის, საშუალებით, აი სომხების მეცი პოლიტიკოსების ტაქტიკა უკანასკნელ ხანებში. მაგრამ რამოდენიმე ფრონტზე ბრძოლა სომხებს კი არა, გერმანელებს გაუჭირდა და როცა ის უცხო ძალა, რომელზედაც ისინი ეყრდნობოდნენ, ბოლშევიკების რუსეთში გაბატონების შემდეგ გაქრა, სომხები უმწეო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ოსმალეთმა თანდათან დაიბრუნა დაკარგული ადგილები და როცა უკვე ამიერკავკასიის ფარგლებში შემოიჭრა, ამ შემოჭრის საშინელება და სიმძიმე ყველაზე უფრო სომხებმა იგრძნეს. და ჩვენ ვხედავთ, რომ ეხლა უკვე სხვებიც ადგიან მოხუცი პროფესორის აზრს, რომ საჭიროა მეზობლებთან მორიგება და არა მათთან ჩხუბი გარეშე ძალის დახმარებითა და იმედით.

ერთ გაზეთში ვკითხულობთ: „უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ჩვენ, სომხებმა ახალ გზას უნდა დავადგეთ, ახალ ხაზს ანუ ახალ ორიენტაციას.

ერთ კარგ ადამიანურ თვისებათაგან ის უნდა ჩაითვალოს, რომ რომელიმე განუყოფელმა (ინდივიდმა) ანუ შეკრებულობით განუყოფელმა (ინდივიდმა), როგორიც არის ერი ანუ ხალხი, გამბედავით აღიაროს, რომ იგი დამარცხებულია, სცნას თავისი მარცხი, როცა ის თვალითა ჰხედავს რომ ჩხუბში მოერივნენ, ბრძოლა წააგო.

დიახ, დავმარცხდით, ამის თქმას კაი ბიჭობა უნდა, რადგანაც როცა შეგნებული გაქვს მარცხი, ჰფიქრობ იმის შედეგების გამოსწორებასაც.

მაშასადამე, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ, როგორც ერი დავმარცხდით, ჩვენ 30—40 წლის განმავლობაში ნაწარმოები ეროვნული პოლიტიკა გათავდა და დაგვირგვინდა ჩვენი სრული დამარცხებით.

ნუ შევეხებით იმას, თუ ვინ მიგვიძღოდა ამ დამარცხებისკენ, ვისმა პოლიტიკამ მიიყვანა სომხის ერი დაღუპვისა და უფსკრულის პირამდე და ვის უნდა დააწვეს პასუხისმგებლობა მთელი თავისი სიმძიმით.

დაე მხოლოდ ჩვენმა პოლიტიკოსებმა გულახდილად აღიარონ, რომ დამარცხდნენ, და დაე ახლა იმ აზრით განიმსჭვალონ, რომ საჭიროა ამ მარცხის შედეგების გამოსწორება.

მაშასადამე, თუ დაგვეთანხმებით, რომ ჩვენ საშინლად დავმარცხდით, რომ ჩვენ მიერ ნაწარმოები ეროვნული პოლიტიკა შეცდომა იყო, მარცხიანი იყო და ბეცი, უნდა დაგვეთანხმოთ აგრეთვე, რომ ახლა ამასთანავე ერთად უნდა შევიცვალოთ ჩვენი გზა, ჩვენი ხაზი, ჩვენი ორიენტაცია და უნდა მოვნახოთ ახალი გზა, ახალი ხაზი, ახალი ორიენტაცია.

მაშ, რომელი უნდა იყოს ახალი გზა, ახალი ორიენტაცია, რომელმაც [illegible] რომელიც აღარ უნდა დაგვირგვინდეს ახალი მარცხით, ჩვენი იმედებისა, სურვილებისა და იდეალების ახალი დამსხვრევით?

ჩვენ დღეს არ გვსურს ვილაპარაკოთ და არც იმ აზრისანი ვართ; ვითომც ჩვენი უბედურების პანაცეა ამიერკავკასიის რესპუბლიკა და რუსეთიდან ჩამოშორება იყოს, არც იმისა, ვითომც თურქული ან გერმანული ორიენტაცია იყოს, ესე იგი არა გვსურს დღეს პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ ლაპარაკი, რადგანაც ამაზე ლაპარაკი, ჩვენის ფიქრით, ჯერ ნაადრევია. არა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივ ორიენტაციაზე, ზნეობრივ ორიენტაციაზე.

ჩვენი საზოგადოებრივი, ზნეობრივი ორიენტაცია აქნობამდე ის იყო, რომ გამოთიშულ, გამოცალკევებულ ცხოვრებას მივსდევდით ჩვენს მეზობელ მუსულმან თურქებთან და არ ვცდილობდით, რომ შეკოხრებული, კეთილმეზობლური განწყობილება ჩამოგვეგდო ჩვენსა და მათ შორის. ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი მთავარი მიმართულებანი, განსაკუთრებით ჩვენი ეროვნული პოლიტიკის მესვეურები იმას სცდილობდნენ, რომ ჩვენს ხალხში, დემოკრატიაში მტრული გრძნობა გაეღვივებინათ თურქ-ოსმალთა მიმართ, მუსულმან ერებისადმი და მათ წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდნენ. ამასვე სჩადიოდა თურქული, მუსულმანური, ოსმალური ინტელიგენცია სომხებისა და სომხური დემოკრატიის მიმართ.

ასე რომ, დღესვე ბოლო უნდა მოეღოს ამ ბედუკუღმართობას, მარცხის მომტან პოლიტიკას დღეს გულახდილად უნდა ვეცადოთ, რომ დაუახლოვდეთ მუსულმან ერებს, თურქებს და ოსმალებს, გავიჩინოთ მათთან საერთო ენა, შევქმნათ ერთად ცხოვრებისთვის კარგი პირობები, დაუახლოვდეთ ერთმანეთს ჩვენი ერები.

ამიტომ ჩვენ მივესალმებით იმ ნაბიჯებს, რომელიც გადადგეს სომხურმა და მუსულმანურმა სოციალისტურმა წრეებმა, რომელნიც ცდილობენ სოლიდარობა შექმნან მუსულმანებსა და სომხებს შორის.

ეს ნაბიჯი ყველაზე უფრო სწორია, სასურველ მიზანს უფრო აღწევს და ეს არის ის დიდი საჩუქარი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივაძღვნათ სომხის ერს აღდგომის დღესასწაულის გამო.

ამაშია უნდა მდგომარეობდეს აღდგომა და აღორძინება".

აკაკი ჩხენკელის დეპეშა.

ა. ი. ჩხენკელმა ქუთაისის გუბერნიის კომისარს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „როგორც გავიგე, მცხოვრებლების პანიკა ქ. ოზურგეთში ღებულობს დაუშვებელ ხასიათს: ყველა მცხოვრებლები ოზურგეთში და მისს რაიონებში ტოვებენ თავის სახლ-კარს და გარბიან. ასეთი სამწუხარო შემთხვევები სრულიადაც არ შეესაბამება როგორც სამხედრო მდგომარეობას, ისე ხალხის ინტერესებს. უნდა მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა დაარწმუნოთ მცხოვრებლები, რომ ოსმალები მშვიდობიან მცხოვრებლებს არ ხოცავენ და არავითარ ძალდატანებას არ ხმარობენ, თუ თვით მცხოვრებლები თავის მოქმედებით არ მისცემენ ამის მიზეზს, ოსმალების მთავარ სარდლისაგან მაქვს ოფიციალური დამამტკიცებელი საბუთი იმის, რომ ისინი მცხოვრებლების ინტერესებს დაიცავენ და პატივისცემით მოეპყრობიან მათ. პირიქით, ის დაჟინებით მოითხოვს, რომ აცნობონ მცხოვრებლებს, რათა დაუბრუნდნენ თავიანთ კერას. იცოდენ, რომ უპატრონოდ დარჩენილ ქონებას შეუძლია მრავალი შეაცდინოს და გაამეორებინოს ბათომის ამბები, რომელთაც დასტოვეს ყოველივე და ოჯახებიდან გარბოდენ. სამხედრო მოქმედება მართალია იწვევს მრავალ სირთულეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს ჩვენ სულმოკლეობას. მთავრობის მიერ უკვე ამ დღეებში გადმოიგზავნება თანხა გადმოხვეწილთა დასახმარებლად, მაგრამ ეს დახმარება უნუგეშო იქნება იმასთან შედარებით რასაც მე ურჩევ ე. ი. დაუბრუნდნენ თავიანთ კერას". გუბერნიის კომისარმა დეპეშის შინაარსი დაუგზავნა ჩოხატაურის, ლანჩხუთის და სამტრედიის რაიონის კომისარებს.

ომის დეპეშები

ტფილისი, 9 მაისი, „ანდოხანი"

სტამბოლი 8 მაისი, საომარი ცნობა.

პალესტინის ფრონტი. ჩვენი ჯარი მოულოდნელად დაეცა და აიღო მტრის ძლიერი პოზიცია, მავთულიანი ხლართებით გამაგრებული. უმმეს—შერტის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ ხელში ჩავიგდეთ დიდ-ძალი სურსათი და იარაღი იორდანეს აღმოსავლეთით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის პატრულების იერიში. კრიხოტ-ელ-მემრანის ბანაკი დილით ადრე იერიშით ავიღეთ.

მესოპოტამიის ფრონტი. ტერკურის რაიონში მტერი განაგრძობს მოქმედებას ჩვენი აღმოსავლეთის ნაწილების წინააღმდეგ. ჩვენი რაზმები მოვხსენით სუსტ ადგილებიდან და მთავარ პოზიციებზე გადავიყვანეთ. სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ბერლინი 8 მაისი. საომარი ცნობა.

დასავლეთის ფრონტი. ნიუპორტის არხის სამხრეთით ჩვენ დავზვერეთ მტერი და ბელგიელები დავატყვევეთ. ფლანდრიაში და ლისთან არტილერიის ცეცხლი მძვინვარებდა კემელთან და ბაიელის დასავლეთით. სომასთან ბრძოლაში დავატყვევეთ ინგლისელები და ფრანგები. კორბიერის ორსავე მხარეს მტერმა საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიშები მოიტანა, მაგრამ უნაყოფოდ. ერთ-ერთ ამ ბრძოლაში ჩვენ გავრეკეთ მტერი მის პოზიციას იქით ბრძოლა გრძელდება ლიუსბახსა და ავრის ნაპირებდან. დანარჩენი ფრონტების შესახებ საგულისხმო ცნობები არ მოსულა.

ბერლინი 8 მაისი. საღამოს ცნობა. დიკებუშის ტბის სამხრეთით ადგილობრივი ბრძოლა სწარმოებს.

რომი 8 მაისი. იტალიის ცნობა. ატმოსფერის პირობები ხელს არ უწყობს საომარ მოქმედებას.

ვენა 8 მაისი. საომარი ცნობა.

სამხრეთ დასავლეთის ფრონტი. მხოლოდ ცალკე უბნებში იყო საარტილერიო ბრძოლა. კანისინოს აღმოსავლეთით ტუტ ჰერტიკთან და მტალესის ფერდობზე მტრის მზვერავები გავრეკეთ.

პარიზი. ავრის ჩრდილოეთით და სამხრეთით არტილერიის მოქმედებაა. ქვეითა ჯარი მონაწილეობას არ იღებს. დღე-ღამის განმავლობაში იტალიის ფრონტზე სიწყნარე იყო.

ლონდონი. საომარი ცნობა. [illegible] ვებ—ვილლისთან დღეს [illegible] მტერმა სასტიკი იერიში მოიტანა ადგილობრივ[illegible] მტერს დიდი ზიანი მოუვიდა; [illegible] მხოლოდ ერთს პუნქტში შესძლო ჩვენს პოზიციებში შეჭრა. აქ ბრძოლა კიდევ გრძელდება. სხვა ადგილებში მტრის იერიშები ყველგან მოვიგერიეთ ფრანგების ჯარი ბრწყინვალედ მოქმედებს. დანარჩენ ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

ბერლინი. 7 მაისი. (მიღებულია ნაუენის რადიო-სადგურიდან გერმანულ ენაზე). ოფიციალური ცნობა, ფრონტზე ახალი არაფერი მომხდარა.

ვენა. 7 მაისი. გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ცნობა. მთელი ფრონტზე დილიდან საარტილერიო ბრძოლა იყო, რომელიც მთელ დღე გაგრძელდა. ლისის ჩრდილო სანაპიროზე ინგლისელთა როტები შინ მიიწევდნენ: დამით მათ იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე კანტრისკენ მომავალი გზის ორსავე მხრის. მტერმა მოაღწია ჩვენს მოწინავე პოზიციებს და იერიშების შემდეგ ჩვენ დავკარგეთ ჩვენი პოსტები. არტილერიის მოქმედება დილით ძლიერად გაძლიერდა. აის არხთან ჩვენ შევიჭერით მტრის ბანაკში კურსელთან და დავიბრუნეთ ჩვენი ტყვები.

აღმოსავლეთის ფრონტი მარიუპოლის მიდამოში სროლა გვქონდა რუსის გემებთან.

მაკედონიის ფრონტი. ინგლისის ძლიერმა რაზმებმა იერიში მიიტანა ბულგარელების მაგზე დოირანთან. იერიში მოგერიებულ იქმნა.

აზიის ფრონტი. ინგლისელთა ბრიგადების იერიში იორდანეს ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოგერიებულ იქნა.

სტამბოლი. მაისი. პალესტინის ფრონტი. [illegible] დასავლეთით არტილერიის და ტყვიამფრქვევის ბრძოლა სწარმოებდა. [illegible] ჩავიგდეთ ერთი ზარბაზანი და მტრის პატრულები იორდანესა და [illegible] შუა გავრეკეთ. [illegible] სანაპიროზე ჩვენ გავაქციეთ არტილერიის ცეცხლის საშუალებით მის ჯარი. იორდანეს აღმოსავლეთით ბრძოლა სწარმოებს. მენდესის აღმოსავლეთით მტერმა თავისი პოზიცია გააძლიერა.

სხვაგან მდგომარეობა უცვლელია.

პარიზი. მაისი. (მიღებულია ეიფელის კოშკ რადიო სადგურიდან) ოფიციალური ცნობა. ბაილს-ვილლერს-ბრეტონის ფრონტზე არტილერიის ძლიერი მოქმედება იყო. ვარტმან ვეილერ-კოპეის ხრეთით ხელიხელ ჩაჭიდებული ბრძოლა იყო გერმანელებთან რომელიც მათი დამარცხებით დამთავრდა.

დანარჩენ ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

ბრძოლა ჰაერში. (ფრანგების ცნობა) 6 მაისის განმავლობაში გერმანელთა 4 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს ფრანგების პილოტებმა და 10 ჰაეროპლანი იძულებული იყო თავისი თხრილებით ხაზის გარედ ჩამოშვებულიყო. ღამის განმავლობაში ფრანგებმა ჰაეროპლანებიდან გადმოისროლეს 4500 კილო ასაფეთქებელი ნივთიერებისა ფლავილის, მარტელის, მენესის, გუსსარდის, ნუშიონის და ვერმონდის ვოკზალებზე.

რადიო-დეპეშები

„ანდოხანი"

როიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ვიკონტი ფრენჩი დაინიშნა ირლანდიის ლორდ-ლეიტენანტად გარდაცვლილ ლორდ ვიმბორნის მაგიერად.

გერმანიის ტრანს ოკეანის პრესბიუროს ცნობა. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა დეშანელმა მოხსენება წაიკითხა საფრანგეთში მცხოვრებლების შემცირების შესახებ: ომის დროს მცხოვრებთა რიცხვი ძალზე შემცირდა ძ ფრანგი ერის მომავალ არსებობასაც საფრთხეში აგდებს. საგულისხმო ცნობები ამ მოხსენებაში შემდეგია: უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვის ენდრისა და ლუარის დეპარტამენტში ძალზე შემცირდა. ამ ჟამად ერთ დაბადებულზე ორი მიცვალებული ხვდება. თუ ეს ასე გაგრძელდა, აღნიშნულ დეპარტამენტში შემდეგი თაობა დაჰკარგავს მცხოვრებთა ნახევარს. სერიოზული მდგომარეობა მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ იქმნას მიღებული კონტრ ზომები. ცნობილია, რომ ყველა მეომარ ქვეყანაში დაბადებულთა რიცხვი შემცირდა, ხოლო ის უნდა იქმნას მიღებული მხედველობაში, რომ საფრანგეთში დაბადებულთა რიცხვი თითქმის არ ეთანხმებოდა გარდაცვლილთა რიცხვს. ახლანდელი ომი კი, ჩვენს ახალგაზრდობას ცელავს დიდის სისწრაფით. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მცხოვრებთა შემცირება საფრანგეთში უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდებდა ჩვენს ქვეყანას ეკონომიური ინტერესებისათვის ბრძოლის დროს და მაშასადამე ჩვენს ქვეყანას დაჰკარგავდა თავის რეპუტაციის დიდი სახელმწიფოისა.

კანონი

მიწათმოქმედების სამინისტროს ზოგიერთ დაწესებულებათა გაუქმების შესახებ.

1. გაუქმდეს 1918 წ. პირველ მაისიდან კავკასიაში გადმოსახლებულთა („პრესელენჩესკი ოტრიადი") რაზმი, ამიერკავკასიის ადგილ-მამულთა მომწყობი რაზმი, სახაზინო იალალთა მომწყობი პარტიები და მიწათმოქმედებისს ამინისტროს საიურისტკონსულტო ნაწილი კავკასიაში.

2. გადაეცეს გეგმათა (პლანების) არქივები პირველ მუხლში მოხსენებულ რაზმების და პარტიებისა, აგრეთვე საგეოდეზიო და სახაზავი იარაღები ამიერკავკასიის საოლქო სადგილმამულო გამგეობას (უპრავას), ხოლო საქმეები და არქივი საიურისტკონსულტო ნაწილისა მიწათმოქმედების მინისტრის კანცელარიაში.

3. დროებით, ვიდრე ამიერკავკასიაში შემოღებული იქნება საერობო დაწესებულებანი, დატოვებულ იყოს გადმოსახლებულთა ის დაწესებულებანი, რომელნიც კულტურულ-განმანათლებელ ხასიათისა არიან, შემცირებული სახით, თანახმად იმ ხარჯთაღრიცხვისა, ახლო ხანში რომ დამტკიცდება, და გადაეცეს ეს დაწესებულებანი მიწათმოქმედების მინისტრის გამგებლობაში (კანცელარიაში), ხოლო ერობის შემოღების შემდეგ საერობო დაწესებულებებს.

4. გაუქმდეს თანამდებობანი: მიწათმოქმედების მინისტრის კავკასიელ რწმუნებულებისა, მისი თანაშემწისა და სამ ტაქსატორისა, 1883 წ. 26 აპრილის შტატებით დაარსებულნი, აგრეთვე თანამდებობანი რწმუნებულის კანცელარიაში მოსამსახურეებიც. მიწათმოქმედების მინისტრს დაევალოს დასდოს ვადა რწმუნებულის საქმეთა და არქივის გადასაცემად თავის კანცელარიის გამგებლობაში.

5. პირველ მუხლში აღნუსხულ გასაუქმებელ და შემცირებულ დაწესებულებათა მოსამსახურენი, რომელნიც ახალ ადგილს არ მიიღებენ, დატოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ იყვნენ სამსახურ გარეშე იმ წესით, როგორც ეს დაკანონებულია დროებით მთავრობის 1917 წ. 29 ივნისის დადგენილებისა.

6. დაევალოს მიწათმოქმედების მინისტრს დაარსოს განსაკუთრებული დროებითი კომისია, სალიკვიდაციოდ გაუქმებულ დაწესებულებათა და გადასაცემად მათ საქმეებისა და ქონებისა ამიერკავკასიის საოლქო გამგეობისა და მინისტრის კანცელარიის ხელში.
2 მაისი 1018 წ.

ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე
ნ. ჩხეიძე.

ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე **ა. ჩხენკელი.**

ამიერკავკასიის კონსტიტუცია

ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესადგენად მთავრობამ აირჩია კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას კომისიამ უნდა შეიმუშავოს კონსტიტუციის პროექტი რომელიც სეიმს წარედგინება განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარედ აკ. ჩხენკელია კომისიაში წევრებად შედიან ხუთ-ხუთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის მკვიდრთა 3 ეროვნულ საბჭოსაგან—საქართველოს, სომხის და მაჰმადიანებისა. მთავრობამ კომისიაში მოიწვია როგორც მცოდნე პირები პროფესორები ლამბაროვი და ავალიშვილი, ნაფ.-ვექილი ს. ჯაფარიძე, გრუზენბერგი, რცხილაძე და რასულზადე კომისიის მდივნად მთავრობამ დანიშნა მთავრობის თავმჯდომარის მდივანი ლ. შერმანი.

კომისიის პირველი სხდომა 4 მაისს მოხდა, პირველი სიტყვა ჩხენკელმა სთქვა. მან აღნიშნა თუ რას მოელის მთავრობა კომისიის მუშაობისაგან რომელმაც ამიერკავკასიის ერებისთვის ისეთი „მოდუს ვივენდი“ უნდა შექმნას, რომ ყოველი ერი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფალი განვითარების და თვითგამორკვევის საშუალების მაქსიმუმით. ამავე დროს ამიერკავკასიის სახელმწიფო აყვავდეს, განვითარდეს და გაძლიერდეს ამიერკავკასიის ყველა ერის შეთანხმებული მუშაობით. პირველი სხდომა საორგანიზაციო საკითხებს მოუნდა. ეროვნულ საბჭოების მხრივ კომისიაში შედიან: საქართველოს ეროვნულ საბჭოსაგან: რ. არსენიძე, გ. გვაზავა, ელ. გობეჩია, შალვა ალექსი მესხიშვილი და საყვარელიძე; სომხის ერ. საბჭოსაგან: პაპაჯანოვი, ფირუმოვი, ხონდაკარიანი, ტიგრანიანი და შახატუნი; მაჰმადიანთა ერ. საბჭოსაგან: გაჯინსკი, ჯაფაროვი, ხასამამედოვი, საფიკიურსკი.

პირველსავე სხდომაზე არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი რომელშიც შედიან: თავმჯდომარედ ა. ჩხენკელი, ამხანაგებად: ხოისკი და ტოგრანიონი, მდივნად გ. რცხილაძე.

კომისიის მეორე სხდომა მაისის 5-ს მოხდა. ამ სხდომაზე დიდი კამათი გამოიწვია სახელმწიფოს წესწყობილების ფორმის და ტიპის საკითხმა: აშკარა იყო 2 მიმართულება: ერთი—ცენტრალიზაცია ფედერაციის სახით, მეორე—ეროვნული დანაწილება კონფედერაციის სახით, მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებმა წინადადება წამოაყენეს მიეცეს კონფედერაციის წევრს—ერთეულს უფლება სეცესიისა ე. ი. კონფედერაციიდან გამოსვლისა, თუ უთანხმოები მოხდა კონფედერაციის სხვა წევრს ერთეულებთან. კამათის მიზანი იყო აღმოეჩინა მთავარი სახელმძღვანელო ხაზი იმ ცალკე კომისიისთვის, რომელმაც კონსტიტუციის პროექტი უნდა შეიმუშაოს, ამ ცალკე კომისიაში შევიდნენ: პრეზიდიუმი—ხოისკი, ტიგრონიანი და რცხილაძე (ჩხენკელი ბათომს გაემგზავრა)—მცოდნე პირები გრუზენბერგი და ს. ჯაფარიძე (ლამბაროვი და ავალიშვილი ბათომს გაემგზავრნენ) და თითო წარმომადგენელი ეროვნულ საბჭოებისაგან: არსენიძე, შახატუნი და ხასმამედოვი, მდივანი—შერმანი.

ცალკე კომისიის პირველ სხდომა მაისის 7-ს გაიმართა შემდეგი სხდომისათვის, რომელიც 11 მაისს მოხდება, გასარჩევად დაინიშნა შემდეგი საკითხები: 1. ამიერკავკასიის სახელმწიფოს მოქალაქეთა საერთო პოლიტიკური უფლებანი, 2. კავშირის მთავრობის კომპეტენცია, 3. საკავშირო მთავრობის ორგანიზაცია და 4. ეროვნულ უმცირესობათა უზრუნველყოფა. ცალკე კომისიას თავმჯდომარეობს ფატ-ალი-ხან-ხოისკი.

ამიერ-კავკასიის მთავრობაში.

ტფილისი. 8 მაისი. „ანდონხანი“.

აკ. ჩხენკელმა ბათომში წასვლისას, სადაც ის საზავო დელეგაციას თავმჯდომარეობს, პირველი მინისტრის მოვალეობის ასრულება მიანდო შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რამიშვილს.

—

რადგან სახელმწიფოს მზრუნველობის მინისტრი ქაჯაზნუნი ბათომს გაემგზავრა საზავო დელეგაციის წევრად მისი მოვალეობის ასრულება დააკისრეს მის ამხანაგს გ. ძამოევს.

—

სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენ. ლეიტ. **ოდიშელიძე** თანახმად მისი თხოვნისა განთავისუფლებულია თანამდებობიდან და ამიერკავკასიის არმიის სარდლის განკარგულებაშია დატოვებული, რადგან მას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია კავკასიის არმიის შტაბის ლიკვიდაცია.

ამიერკავკასიის არმიის შტაბის გენერალ-კვარტირმეისტერის თანაშემწის მოვალ. აღმ., გენერალური შტაბის **პოლკოვნიკი კვინიტაძე** ინიშნება სამხედრო მინისტრის თანაშემწედ ეძლევა გენერალ-მაიორობა და ირიცხება გენერალურ შტაბში.

—

სახელმწიფო ხაზინის თანხიდან 21 მილიონი მანეთი ეძლევა ავანსად გზათა სამინისტროს 1917 წ. ოპერაციების ხარჯის დასაფარავად: 1) 20 მილ. მან. ამიერკავკასიის რკ. გზის სამართველოს, 2) 1 მილ. მან. გზების ოლქისათვის.

—

სახელმწიფო ხაზინის თანხიდან შესდგა 10 მილიონი ფონდი, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში იქნება მიმდინარე სასწრაფო ხარჯების დასაფარავად 1918 წელს.

—

სახელმწიფო ხაზინის თანხიდან გადაიდვა 15 მილ. მან. ამიერკავკასიის ლტოლვილთათვის, რომელიც სახელმწიფო მზრუნველობის განკარგულებაში იქნება.

—

გამოიცა კანონი, რომლითაც ფინანსთა მინისტრს უფლება ენიჭება 200 მილიონი მან. ბონები გამოუშვას დამატებით იმავე საფუძველით, რომელიც დამტკიცებულია 1918 წლის 29 იანვრის დებულებაში.

ოფიციალური დეპეშები

1918 წლის 8 მაისი. 12 საათი.

კავკასიის ფრონტი. მშვიდობიანობა არ დარღვეულა. („ანდონსანი“).

ახალი ამბავი

◆ **პროკურორ მუშეგიანის სიკვდილი.** ზოგიერთ გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ სამხედრო პროკურორი და ნაფიცი ვექილი მუშეგიანი მოკლულ იქმნა სადგ. შახტახტზე სომხის დელეგაციაზე თავდასხმის დროს. ეს ცნობა მართალი არ გამოდგა. მუშეგიანმა თვით მოიკლა თავი და არა სხვებისგან იქმნა მოკლული.

◆ **ბათომში ჩასვლა.** საგარეო საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე ნაბიჯი უკვე გადასდგა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელია კერძო პირებისთვის ბათომში ჩასვლა თავიანთ ქონება-მამულის და სხვა საქმეთა მოსაგვარებლად და სალიკვიდაციოდ.

◆ **კელარევი,** რომელიც ძველ რეჟიმის დროს მეფის ნაცვლის კანცელარიაში იყო ვიცე-დირექტორად, ხოლო უკანასკნელ ხანებში კომისარიატის კანცელარიის დირექტორად, დაინიშნა ფინანსთა მინისტრის კანცელარიის დირექტორად.

◆ **ზავი და პრესა.** ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტომ სთხოვა მთავრობის თავმჯდომარეს ა. ი. ჩხენკელს ნება დაერთო სააგენტოსთვის გაეგზავნა ბათომს საგანგებო კორესპონდენტი საზავო მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ ადგილობრივ პრესისთვის ცნობების მოწოდებისთვის მაგრამ ა. ჩხენკელმა სააგენტოს შუამდგომლობა არ შეიწყნარა.

◆ **მსახიობის დაჭრა.** 8 მაისს ღამით ესიკოვსკის ცირკთან მარცხენა ხელში სროლის დროს დასჭრეს ქართველი მსახიობი ლეო ჩუბინიშვილი.

◆ **ფულით ვაჭრობა.** სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწემ იქიმმა შელიამ შეიტყო, რომ გოლოვინის პროსპექტზე № 17 მცხოვრები ვლადიმერ ივანეს ძე კონდრატოვიჩი ვაჭრობს ქაღალდის ფულით, სახელდობრ, „ამიერკავკასიის კომისარიატის ბონებს“ „ნიკოლოზის“ და „კერენსკის“ ფულებზე ახურდავებს ამ ცნობების შესამოწმებლად ექ. შელია ერთი მილიციონერის თანხლებით გაემგზავრა კონდრატოვიჩის ბინაზე, რომელიც სახლში დახვდა და თხოვნაც ათას მანეთიანი დაეხურდავებინა უყოყმანოდ შეუსრულა. ას თუმნიანი დაუხურდავა 500 მანეთიანზე, ორ ასიანზე და ერთ 50 მანეთიანზე, ხოლო დანარჩენი ფულის დახურდავებისათვის, რაკი ცნობები გამართლდა, შელიამ განკარგულება გასცა კონდრატოვიჩი შეეპყროთ და გაეჩხრიკათ. ჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა აგრეთვე 500 გირვანქა თამბაქო.

◆ **რუსეთის კანონები ჩვენს რესპუბლიკაში.** მთავრობის სხდომაზე, 2 მაისს რომ შესდგა, აღიარებულ იქმნა მიზან შეწონილად გამოცხადებული იყოს რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკის საზღვრებში დროებით მოქმედებაში რჩება რუსეთის სახელმწიფოს კანონები. ამის გამო მთავრობამ, სცნო რა რომ ასეთ დადგენილების გამოტანის და გამოცხადების უფლება აქვს მარტო სეიმს, სეიმის თავმჯდომარეს უკვე გაუგზავნა განცხადების პროექტი და სთხოვა, რომ იგი სეიმის განსაჭობლად იქმნეს წარდგენილი.

◆ **ამიერკავკასიის დროშა** მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტრს დაავალა გამოაცხადოს კონკურსი ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის დროშისა.

◆ **ახალი გაზეთი.** ყოფილი საზავო მინისტრის ვლადიმერ გობეჩიას რედაქტორობით უახლოეს ხანში გამოვა ახალი გაზეთი რუსულ ენაზე „ამიერკავკასიის აზრი“ («Закавказская Мысль“).

◆ **ოზურგეთის ბედი.** ქუთაისის საგუბერნიო კომისარი შეეცადა როგორმე მოეგვარებინა საქმეები ოზურგეთიდან ლტოლვილების და ამ მიზნით შეეკითხა ეწერის კომისარს (ოსმალოს წარმომადგენელს). უკანასკნელი იუწყება, რომ ოზურგეთის უფროსის (ოსმალოელია) ცნობით, რომელსაც მე არ ვერწმუნებიო, ოზურგეთში სახლები და ქონება აკლებულია. ოზურგეთში შესვლის ნება ეძლევათ მხოლოდ ქალებს და ბავშვებს. იმ პირობით კი, რომ მათი უკან დაბრუნება აღარ შეიძლება. რაც შეეხება იმ ახალგაზდების შესვლას ქალაქში, რომელნიც ჯარში გასაწვევ ჰასაკში არიან, მათი ოზურგეთში შესვლა სასტიკად აკრძალულიაო. იგივე ეწერის კომისარი იტყობინება, რომ სამხედრო გამგებლობა ოზურგეთიდან ქობულეთშია გადატანილი და ყოველგვარი მოლაპარაკება უნდა იქ გაიმართოს ხოლოკის ხიდთანაო.

◆ **ინდო-ევროპის ტელეგრაფი.** მთავრობამ იქონია მსჯელობა შესახებ ინდო-ევროპიელ ტელეგრაფის მავთულების და საკანტროლო სადგურების შენახვისა ამიერკავკასიის მიწა-წყალზე და 2 მაისს დაავალა გზათა მინისტრს რომ რკინის გზის ადმინისტრაცია დაეხმაროს მასალის გადატან გადმოზიდვაში, 30 ათასი მანეთი, ამ საქმისათვის საჭირო. სესხი მიეცეს 10 მილიონიან ფონდიდან.

◆ **გერმანელები ბათომში.** გაზეთებში მოთავსებული ცნობა. ტრაპიზონსა და ბათომში გერმანელებმა ჯარი გადმოსხესო სიმართლეს მოკლებულია („ანდონსანი“).

◆ **ტფილისის ფიზიკ. ობსერვატორიის საბჭო აცხადებს,** რომ ვადა კონკურსისა, რომელიც მან გამოაცხადა ობსერვატორიის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ახალი სტილის შემოღების გამო 30 აპრილიდან 20 მაისისათვის გადაიდვა.

◆ **მომღერალთა გუნდი.** სამხედრო კავშირი აცნობებს ქართ. ეროვნულ ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდის წევრებს, რომ რეპეტიციები უკვე დაიწყო და ვინც ამ ორ დღეს არ გამოცხადდება სიიდან ამოიშლება.

◆ **სრულიად საქართველოს ქართველ მოხელეთა კავშირის** საბჭო ენერგიულად მუშაობს. კავშირის ტფილელ დელეგატებს ქუთაისში აღტაცებით მიეგებენ და ერთსულოვანად შეუდგენ კავშირის მოწყობას, რომელიც ამ დღეებშივე გამოვა სამუშაო ასპარეზზე ტფილისთან ერთად. ამავე მიზნით—კავშირების დასაარსებლად—იგზავნებიან საბჭოს მიერ დელეგატები ტფილისის გუბერნიის სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში. მალე შეიქმნება ერთი მთლიანი მჭიდრო კავშირი მთელი ამიერკავკასიის ქართველ მოხელეებისა, რომელიც შემდგომ თამამად მიუდგება თავის მიზნების განხორციელებას.

◆ **საბავშო წარმოდგენა.** შაბათს 11 მაისს (28 აპრილს), ქართულ კლუბში, გაიმართება პირველი საბავშო წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება „ბავშთა სამეფო“. რომლებს შეასრულებენ ბავშვები, დასაწყისი დღის 1 საათზე, ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

◆ **საქ. ერ. საბჭო.** ქუთაისის სათ-ადგ.-მამულო ბანკის სადგომში ფრეილინის ქ. № 1. დღეს, 10 მაისს (ახალი სტილით) ნაშუადღევს 1 საათზე დანიშნულია „სახალხო მეურნეობის“ სექციის სხდომა. განსახილველია მრავალი სასწრაფო და საყურადღებო საკითხები. წევრებს ვსთხოვთ არ დაიგვიანონ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, პარასკევს 10 მაისს, საღამოს 6 საათზე „სახალხო საქმის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა.

მთავრობის ცნობა

ტფილისი. 7 მაისი. „ანდონსანი“.

ამიერკავკასიის მთავრობას შეუძლიან შემდეგი ცნობები მიაწოდოს იმ ამბების შესახებ, რომელთაც ჩვენს ფრონტზე ჰქონდა ადგილი:

ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის განცხადების შემდეგ ტრაპიზონში ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულების მიღების შესახებ, მეორე დღეს, ესე იგი 29 მარტს (11 აპრილს) კავკასიის ფრონტის ოსმალოთა ჯარის მთავარ-სარდალმა ფერიკ-ვეჰიბ-მეჰედმა დეპეშა გაუგზავნა ბათომის ციხის კომენდანტს, რომელშიც ის აუწყებდა კომენდანტს, რომ მან ბრძანება გასცა შესწყვიტონ საომარი მოქმედება ბათომის წინააღმდეგ, და სთხოვდა კომენდანტს მასაც შეეწყვიტა ბრძოლა; იქვე აფრთხილებდა, თუ 11 აპრილს საღამოს 6 საათამდე ჩვენი ჯარი მოქმედებას არ შესწყვეტდა, იმ შემთხვევაში საომარი მოქმედება გაგრძელდებოდა. ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელიც თავისი მხრით სთხოვდა კომენდანტს შეეწყვიტა საომარი მოქმედება. მიუხედავად ამისა, კანტი-კუნტი სროლა ორივე მხრით გრძელდებოდა რამდენიმე ხნით. 30 მარტს (12 აპრილს) ოსმალებმა ულტიმატუმი წარუდგინეს ჩვენს სამხედრო უფროს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რადგან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით ბათომი უნდა დაცლილ იქმნას და ჩვენი ჯარი 1877 წლის საზღვრებისაკენ წავიდეს, ფორტები, ბათომს რომ არტყია ირგვლივ, მთელი საომარი მასალით რაც შეიძლება მალე უნდა იქმნას დაკავებული ოსმალეთის ჯარის მიერ. ამიტომ ოსმალოთა სარდალი წინადადებას იძლეოდა 31 მარტის (13 აპრილის) ნაშუადღევს 4 საათამდე დაეტოვებინათ სიმაგრეები და აფრთხილებდა—წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეში იერიშით მოვდივართო. საპასუხოდ ვადა იყო მოცემული 31 მარტის (13 აპრილის) შუადღის 12 საათამდე.

ამასთანავე ერთად 31 მარტს (13 აპრილს) დელეგაციის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა ორჯელ აცნობა ბათომში დეპეშით შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მას აუცილებლად მიაჩნია მთელი რიგი მოსაზრებების გამო ფორტების დაცლა თავისი ნებით.

ბათომის ციხის კომენდანტმა მიიღო რა ულტიმატუმი, სთხოვა ოსმალოთა ჯარის უფროსს 24 საათით გაეგრძელებია ვადა, რადგან მას საშუალება არ ჰქონდა ტფილისიდან შესაფერი

ორი ორიენტაცია

თანამედროვე ინდუსტრიისა და ტეხნიკის განვითარებამ ცივილიზაციურად დაწინაურებული ევროპა აქცია მთელი ქვეყნის პოლიტიკის მესაჭეთ, უდიდეს პრობლემას ევროპის ცენტრალისტურ სახელმწიფოებისათვის მრავალ საუკუნის განმავლობაში შეადგენდა „თეირების“ კულტურისა და ცივილიზაციის გავრცელება ყველა არა ევროპიელ ერების ტერიტორიაზე.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ორმა ინგლისელმა კომერსანტმა დაიწყო ის იმპერიალისტური პოლიტიკა რომელსაც აგერ 3 დე საუკუნეა რაც ინგლისი აწარმოებს ინდოეთში: ევროპის კონტიგენტზე ამ პოლიტიკის გარშემო დაინთო ის გაუნელებელი ცეცხლი, რომელმაც იდუმალ მეფისტოფელესავით გადმოსვა ისტორიის არენაზე ნაპოლეონ ბონაპარტე—ნაპოლეონ ბონაპარტეს სახით საფრანგეთის ერის გენიამ უდიდესი ფალავანდი წამოუყენა ინგლისის სამხედრო ძლიერებას.

„ნაპოლეონის საუკუნე“-საც მხოლოდ და მხოლოდ ორი ორიენტაცია არსებობდა ყველა დანარჩენ სახელმწიფოებისათვის ან ინგლისური, ან ფრანგული ერთის მხრით ინგლისი თავის ფლოტის სიძლიერეს დაყრდნობილი, მეორეს მხრით ნაპოლეონი თავისი დროის ხმელეთის მბრძანებელი. უკანასკნელმა თავის იარაღად გაიხადა, ფრანგები, ბავარიელები, საქსონელები, პოლონელები და სხვა წვრილი ერები.

კარგად ხედავდა რომ თავის მსოფლიო სუვერენიტეტის („დი ველტჰერშაფტ“). შესანარჩუნებლად საჭირო იყო კისერი მოეგრიხა დიდი ბრიტანიის ლომისათვის. მან შეადგინა თავხედური პლანი; კორსიკელს ეწადა ტიტანიური ტივი გაეშენებია და ამ გზით დესანტი გადაესხა ინგლისის კუნძულზე და საბოლოოდ გაენადგურებია მაცდური „ალბიონის ძენი“. მაგრამ ეს პლანი მას განუხორციელებელი დარჩა.

ბონაპარტემ ცეცხლის ეტლით გაიარა მთელი ევროპის კონტიგენტი. საცა ხმალი არა კმაროდა კორსიკელი ხერხს მიმართავდა. თავის სამხედრო ოპერაციებისათვის მას დიდძალი ფული სჭიროდა ფული ჰამბურგელ დაღუპულ ებრაელებს ჰქონდა, ხოლო უფლებები ნაპოლეონს. უკანასკნელიც მრავალგზით დახმარებას აღუთქვამს ისრაელებს. მისის წაქეზებით იმართება მთელი რიგი ისრაელიტების კონგრესებისა გერმანიაში. იმპერატორმა ებრაელებს—უფლებრივი ემანსიპაცია. აღუთქვა ხოლო ბავარიელებს, საქსონელებსა და პოლონელებს „დიდი ბავარია“, „დიდი საქსონია“ და აღორძინებული პოლიაკების სამეფო“. ეს პატარა სახელმწიფოები ურჩი პრუსიის ხარჯზე უნდა გადიდებულიყვნენ. ან ფრანგული ან ინგლისური პოლიტიკა! ასეთი დილემა დაუსვა ისტორიამ 1812 წელს შედარებით ძლიერ რუსეთსაც.

თავხედ ხმელთა მბრძანებელს ჩაუქცდა ხიდი, რადგან მისი ოცნება შორავალ საუკუნეთა ოცნებას შეადგენდა. გენიოსები აკი მიტომაც იტანჯებიან, რომ მათ სურვილებს არსებულის ჩარჩოები ვერ იტევენ. იმისათვის, რომ ბედით განებივრებულ კორსიკელს თავის პლანის განხორციელება შესძლებოდა საჭირო იყო ისეთი იარაღები, რომლითაც სივრცის გადალახვა და დროის შემოკლება შესაძლებელ ყოფილიყო. გამარჯვებულ ნაპოლეონის ნებების ყოფა. ცაში ცეპელინებს უნდა გაეფრენებიათ ხოლო მის კვალს დედამიწაზე მოტორიანი ბატარეები ავტომობილები, მორზერები უნდა გაყოლოდა.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ადამიანს ეგზომად არ ყავდა ბუნების სტიქიონები დამორჩილებული როგორც დღეს. და ის ადამიანიც, რომელსაც ეწადა კონცენტრაცია მთელი მიწის არტერიებისა ერთ მაგიურ ცენტრო პუნქტში—პარიზში, თვით ბუნებამ დაამარცხა. ამგვარად ფრანგის ერის სახელოვანი ფალავანი, რომელიც არსებითად არც აუსტერლიცთან არც ლაიპციგთან არც ბოროდინისთან არ დამარცხებულა, თვით ბუნების მიერ იქმნა ძლეული. მსოფლიო ბატონობა კვლავ ინგლისს დარჩა. 1814 და 1914 წლებს რაღაც ფატალური მსგავსება აქვს ერების ისტორიაში. ამ საკმაოდ დიდ დროის ინტერვალში რაც ომები მოხდა, ლოკალური ხასიათი ჰქონდა. 1870—71 წლების ომს უნდა გადაეწყვიტა ისეთი პრობლემა, რომელსაც მხოლოდ ევროპის კონტიგენტისათვის ჰქონდა მნიშვნელობა. შედარებით უფრო უმნიშვნელო იყო 1864 წლის ომი პრუსიასა და ავსტრიას შორის. უფრორე ლოკალური იყო ტრიპოლის, ადრიანოპოლის და მანჯურიის ამბები, 1871 წლის სედანის კატასტროფამ ერთი ფრიად საგულისხმო რამ გამოამჟღავნა: ამიერიდან ევროპის კონტიგენტზე საფრანგეთის ნაცვლად პირველობა გერმანელებს უნდა რგებოდა. იმ ხანებში ფრიდრიჰ ნიცშე სწერდა: ალბად განგებას ერთ პოლიუსზე მოუთავსებია ორი ერთი მეორეზე უკეთესი ერი: საფრანგეთი და გერმანია. ესენი მუდმივ ჭიდილში წვრთნიან ერთი მეორესო. სხვა იყო ნიცშეს დროს. დღეს უკვე გერმანია საფრანგეთს არც კი დაეტოლება, როგორც ცივილიზაციურად ისე კულტურულად. დღეს ევროპაში ამ ორი ერის მეტოქეობაზე არავინ ლაპარაკობს. თუ 1814 წელს ინგლისი და საფრანგეთი ეჭიშპებოდნენ ერთი მეორეს, დღეს ერების ბრძოლის არენაზე ინგლისი და საფრანგეთი მოსჩანს. დღეს უკვე აშკარაა, რომ როგორც ევროპაში ისე აზიაში არც ერთ ერს არ შეუძლია ევენტუალურ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი და დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება. 1914 წლიდან დღემდის თითქმის ყველა ერი მდგარა საბედისწერო არჩევანის წინაშე: ინგლისის თუ გერმანიის პოლიტიკა? მილლიარდები დახარჯა ინგლისმა ბელგიის, იტალიის, პორტუგალიის და რუმინიის ომში ჩასათრევად. ორიოდე ერი სავსებით გაანადგურა ამ დახლოვნებულ ჯამბაზის აყოლამ. დღეს საბრალო სურათს წარმოადგენს ბელგია, სერბია, ჩერნოგორია და რუმინეთი. გვძინა ჩვენი სამშობლო გადაურჩა შედარებით უმტკივნეულოდ იმ საშინელ ცეცხლის რკალს რომლის ერთი დიამეტრი კალედან ტიგრისა და ეფრატის ნაპირებამდის უწევს.

1915 წლის ივლისში „ლოკალ ანცაიგერში“ იყო მოთავსებული სტენოგრამა იმ მოხსენებისა, რომელიც გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანმა წაიკითხა რეიხსტაგში: აქ მთელი გეგმა იყო ერთის მხრით რუსეთის დანაწილებისა, მეორეს მხრით ფეტალური განხილვა იმ პოლიტიკური კურსისა, რომლის პაროლად გერმანელები „დრანგ ნ.ხ ოსტენს“ ხმარობდნენ. ამ გეგმების მიხედვით რუსეთისითვის უნდა ჩამოეცილებიათ ლიტვა, კურლიანდია, ლიფლიანდია, ესტონეთი, პოლონეთი, ბელორუსია, უკრაინა. ეს იქნებოდა დასავლეთით მომიჯნე სპუტერები. ამგვარად „ზურგში მოქცეული“ რუსეთი, რომელიც თვით შეურყეველ ბისმარკსაც თვალში ეკლად ჰქონდა უვნებელი უნდა გაეხადათ.

მეორე აღმოსავლეთის საფრთხესაც უნდოდა მოვლა. სუეცის არხის იზოლიაციით და დამოუკიდებელი ეგვიპტისა და არაბეთის აღდგენით უნდა მომხდარიყო საფრანგეთ ინგლისის აბსოლიუტური იზოლიზაცია. ამ ხანებში სპარსეთის ჩრდილოეთი რუსეთს ეკავა ხოლო სამხრეთი ინგლისს. 1912 წლის ინგლის-რუსეთის შეთანხმების მიხედვით.

ამ ორი ძლიერი მოკავშირის საბოლოო იზოლიაციაც საჭირო იყო. ამ გეგმის მიხედვით კავკასიონის ქედი უნდა გამხდარიყო რუსეთის პოლიტიკურ გავლენათა სფეროს უკანასკნელი საზღვარი. ხოლო საქართველოს დასავლეთი შტატისა და ადერბეიჯანის აღმოსავლეთის შტატის შექმნით უნდა მოეწყოთ შესაფერი ბუფერ სახელმწიფოები რუსეთსა და ოსმალეთს შორის.

ეს გეგმები „რუსკოე სლოვომ“ და „ნოვოე ვრემიამ“ თავის დროს გამასხარავეს და მას პაულ როორბახის თავში დაბადებული ფანტაზია უწოდეს.

შავ რაზმული რუსეთის ჩვენში დარჩენილი ფესვები იზვესტია ედინსტვო და ძმანი მათნი დღეს საკუთარი თვალით ხედავენ რომ ეს წინასწარ შედგენილი გეგმა უკვე ხორციელდება. ჯერ კიდევ შარშან როცა რუსის ჯარები კავკასიის ბრძოლის ხაზზე იდგნენ, იგივე ვაჟბატონები მხოლოდ სხვა ნიღაბებს ქვეშ ისტერიულად გაჰკიოდნენ: რუსის სალდათმა რათ უნდა დაიცავს კავკასიაო. მათ რუსის ხალხის სისხლი ენანებოდათ მაგრამ დღეს ჩვენში შემოხიზნული რუსის მოხელიგანო-ლიბერალები და „დემოკრატები“ მელანს არ ზოგავენ, რომ ქვეყანას ამცნონ ამიერკავკასიის დემოკრატიამ გვიღალატაო. (იხ. გაზეთ ედინსტვოს მეოთხე ნუმერში მოთავსებული მოწოდება).

ამიერიდან ქართველი ერი არც დაივიწყებს და არც გაიმეორებს ალბად იმ შეცდომას რომელიც 19 ნოემბერს ჩაიდინა მისმა წარმომადგენლებმა, როცა მათ „რუსული ორიენტაცია“ ახსენა. ერისათვის არც ერთი ორიენტაცია არაა ისე ხელსაყრელი, როგორც საკუთარი. მაგრამ როცა ჩვენი ხმალი ჩვენი უფლებების ფარად ვეღარ გამოდგება ჩვენ იძულებული ვართ უცხო ორიენტაციას შევუფარდოთ შეძლებისა და გვარად ჩვენი საკუთარი. უნდა ვიფიქროთ რომ ჩვენი პოლიტიკური გაძლიერება დღეს გერმანიისათვის ხელსაყრელია, რადგანაც ბოლშევიკური რუსეთი უეჭველია მონარქისტული რუსეთს უმზადებს სასუფეველს და გერმანიაც გრძნობს რომ მას კიდევ მოუხდება იმ გველვეშაპის მახვილით ჩაჭვლა, რომელსაც ბოლშევიკურმა აგონიამაც ვერ მოუღო ბოლოთ. დიდი ისტორიული ცვლილებების წინაშე ვდგევართ, ნუმც დააყოვნებს დიადი ცისკარი ქართველი ერის გონების განმანათლებელი.

ქ. ზ.

განკარგულება მიეღო. ვეჰიბ-ფაშამ ამაზე უარი უთხრა და ბათომიც ოსმალოს ჯარმა იარაღით აიღო 1 აპრილს ღამით.

ბათომის აღებამდე საომარი მოქმედება ფაქტიურად შეწყვეტილი იყო დაახლოვებით 48 საათის განმავლობაში. 31 მარტს (13) ღამით ამიერკავკასიის დელეგაცია მთავრობამ გამოიწვია და 1 აპრილს დელეგაციაც გამოემგზავრა ტფილისში. ამის შემდეგ საომარი მოქმედება გაგრძელდა როგორც შავი ზღვის სანაპიროებით, აგრეთვე მეტის ინტენსივობით ყარსის ციხის გარშემო, რაიც ოსმალოს ჯარის უფროსმა 9 (22) აპრილს იმით აუხსნა ა. ჩხენკელს დეპეშით, რომ ამიერკავკასიის დელეგაციამ საზავო მოლაპარაკება შესწყვიტაო".

10 (23) აპრილს, რადგან წინა დღით სეიმმა დაადგინა, რომ ოსმალოებთან საზავო მოლაპარაკება განახლებულიყო, მინისტრთა თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა ახალი კაბინეტის შედგენამდე წინადადება მისცა ოსმალოთა ჯარების უფროსს 10 აპრილის საღამოს 5 საათიდან მთელს ფრონტზე შეეჩერებინათ საომარი მოქმედება. ამასთანავე აკ. ჩხენკელმა აცნობა ოსმალეთს, ამიერკავკასია გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდო.

11 (24) აპრილს მინისტრთა თავმჯდომარემ გაიგო საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის გენერ. ვიშინსკის ცნობიდან გენ. ოდიშელიძისადმი ის პირობები, რომლის თანახმად ოსმალოები მოითხოვდნენ ყარსთან ბრძოლის შეწყვეტას. ვიშინსკის დეპეშის თანახმად, როგორც აღნიშნული იყო ყარსის ფრონტის ოსმალთა ჯარების უფროსის წერილში გენ. ვიშინსკისადმი შემდეგში მდგომარეობდა: **ჩვენ ჯარებს უნდა დაეხიათ ყარსისკენ და უნდა გაჩერებულიყვნენ ორი ვერსის მოშორებით** ფორტების წინ და ჩვენს ჯარს სროლა არ უნდა აეტეხა, როცა ოსმალოთა ჯარები მოვიდოდნენ, რომელთაც 11 (24) აპრილს უნდა დაეკავებინათ ზემო აღნიშნული ხაზი.

ამ ცნობის მიღებისთანავე მინისტრთა თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ ბრძანება გასცა მიეღოთ ოსმალოების პირობები და შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედება, რაიც კიდეც ეცნობა სომხეთა კორპუსის უფროსს გენ. ნაზარბეკოვს. ამ განკარგულებასთან ერთად ვეჰიბ-ფაშას დეპეშა მოვიდა იმავე დღეს, სადაც იტყობინებოდა: ოსმალოებმა შეაჩერეს საომარი მოქმედება ციხიდან ორი კილომეტრის მანძილზეო.

11 (22) აპრილსავე გენ. ნაზარბეკოვს ებრძანა არა უგვიანეს ღამის 12 საათისა 11 აპრილს ოსმალოებთან გაეგზავნა მას პარლამენტიორები, რომ განესაზღვრათ დრო და პირობები ყარსის დაცლისა, ამასთანავე ის უნდა ცდილიყო რაც შეიძლება მეტი დრო გამოეთხოვა ამ საქმისათვის და საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად დრო მიეცა მისთვის მთავრობას შეჰკითხებოდა. ვეჰიბ-ფაშას ამასთან ერთად მინისტრთა თავმჯდომარემ და დროებით სამხედრო მინისტრმა ოდიშელიძემ დეპეშით აცნობეს, რომ ყარსის ოლქის დასაცლელად ჩვენი ჯარებისაგან საჭიროა 6 დღის ვადაო, რომ ჯარებმა შესძლონ დამშვიდებით დახევა, რომ ჩვენი ჯარების მიერ ფორტების დასაცლელად საჭიროა ორი-სამი დღე-ღამე და არა ერთი, როგორც მოითხოვენ ოსმალოებიო და ყარსის დასაცლელად და იქიდან ქონების გამოსატანად საჭიროა ერთი თვე და ამასთანავე საჭიროა საშუალება მოგვეცეს აგრეთვე ყარსიდან სახელმწიფო ქონების გამოტანისო. ქრისტიან მცხოვრებლების გამოსაყვანად, რომლებიც სულ ერთიანად სტოვებდნენ იქაურობას საჭირო იყო ორი კვირა, ამ ხნის განმავლობაში რკინის გზის განაპირა ადგილები ჩვენი ჯარების განკარგულებაში უნდა ყოფილიყო. ყარსთან მდგომ ოსმალოთა ჯარების უფროსმა 11 აპრილს დილით წერილი გაუგზავნა ჩვენი ოლქის უფროსს ვეჰიბ-ფაშას ზემო მოყვანილი პირობებით, რის შესახებაც არაფერი არ იცოდა ციხის კომენდანტმა, არ დაუცადა ამ პირობების ამიერკავკასიის მთავრობის მიერ დამტკიცებას და შეუდგა მის ცხოვრებაში გატარებას. ციხის კომენდანტს 11 (24) აპრილს ვერ მიუწვდა მთავრობის განკარგულებამ ციხის უბრძოლველად ოსმალოებისთვის გადაცემის შესახებ, მან უნდა მიეღო საფუძვლიანი ზომები, რომ შეეჩერებინა ოსმალთა ჯარების შემოტევა საქმის გამორკვევამდე, რასაც შედეგად მოყვა ჩვენი არტილერიით ოსმალოთა ჯარებისთვის ყუმბარების დაშენა, რაც იმ წამსვე შესწყდა, რა რომ ოსმალოთა ჯარები შეჩერდნენ. ამ გაუგებრობას ხელი შეუწყო აგრეთვე ოსმალოთა პირობების გაურკვევლობამ ორი ვერსის მანძილის შესახებ (ამიერკავკასიის ჯარები შორდებოდნენ ორი ვერსით ფორტებს თუ ოსმალოთა ჯარები უახლოვდებოდნენ.

ოსმალების ნაადრევმა შემოტევამ ყარსზე დილით 11 (24) აპრილს ქალაქის მცხოვრებლებში „პანიკა", შექმნა, რასაც შედეგად მოყვა ქალაქიდან მცხოვრებლების უთავბოლოდ გაქცევა, ცეცხლის გაჩენა ქალაქში და ექსცესები. ციხის უბრძოლველად გადაცემის შესახებ კომენდანტმა ბრძანება მიიღო მხოლოდ საღამოს 7 საათზე 11 (24) აპრილს, მაშინ კომენდანტმა ოსმალოებს გაუგზავნა პარლამენტიორები და 12 აპრილს დილიდანვე წინასწარ შემუშავებული პირობების თანახმად ჩვენი ჯარების ნაწილებმა კომენდანტის განკარგულების თანახმად დასტოვეს ფორტები, რომლებიც შემდეგ დაიკავეს ოსმალოთა ჯარებმა, რაიც მოხდა ოსმალოთა ჯარების უფროსის და ციხის კომენდანტის ურთიერთ შორის შეთანხმებით.

ამ ჟამად ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც ყარსის ოლქში მოქმედებდნენ, უკვე არპაჩაის იქით დაიხიეს. და მათ სასტიკად ნაბრძანევი აქვთ არავითარი საომარი მოქმედება არ აწარმოონ ოსმალოს ჯარების წინააღმდეგ. გუმბრის ციხის ფორტები არპაჩაის მარჯვენა ნაპირას აფეთქებულია და ჩვენ მიერ დატოვებული, რადგან ეს ფორტები ყარსის ოლქის საზღვრებშია. ჩინგილის და ქარვასლის გადასავალთა რიონში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე (ერევნის გუბ.) ოსმალთა ჯარებმა 14 და 15 (27 და 28) აპრილს საზღვარი გადალახეს და იგდირს მოუახლოვდნენ: დაიკავეს სოფ. ორგოვი ამ ჟამად იმათ საზღვრისაკენ დაიხიეს. ზღვის სანაპიროების მიმართულებით ოსმალოებს ოზურგეთის რაიონი კვლავ უკავიათ: ეს რაიონი ვეჰიბ-ფაშას უკანასკნელი ცნობით, დაცლილი იქნება და დაებრუნება ამიერკავკასიის მთავრობას მას შემდეგ, რაც ბათომის მოლაპარაკება ნაყოფიერად დამთავრდება.

რაც შეეხება ოსმალოების მიერ დაკავებულ ტერიტორიის მცხოვრებლებს, მთავრობამ, სადაც ეს ზემო ოქმულიდან სჩანს ზომები მიიღო, რომ ამ მცხოვრებლებს საკმაო ვადა მისცემოდათ ევაკუაციისა და სხვა და სხვა ძალმომრებისაგან დაცვისათვის, მთავრობამ არა ერთხელ მიმართა კავკასიის ფრონტის ოსმალოს ჯარის მთავარ-სარდალს ვეჰიბ-ფაშას განცხადებით, რომ მცხოვრები, რომელნიც სამშობლოს სტოვებენ, დიდ გაჭირებას განიცდიან და ამ ნიადაგზე შესაძლებელია ექსცესები და ერებს შორის ურთიერთობის გართულება და რომ ერთად-ერთ საშუალებად ამ უბედურების შესამსუბუქებლად უნდა ჩაითვალოს მცხოვრებთა გახიზვნის შეჩერება და გზაში მყოფთა დაბრუნება. მთავრობა იუწყებოდა, რომ გადასახლების შეჩერების გარანტიებად შეიძლება იყოს: სასტიკი ბრძანება ოსმალოთა ჯარებს არავითარი ძალმომრეობა არ იხმარონ მცხოვრებლებზე; ზომების მიღება, რომ შეიარაღებული ბანდები არ დაეცნენ; გზების დაცვა და მეთვალყურეობა; ნება მიეცეს მშვიდობიან ორგანიზაციებს იზრუნონ წესიერებისათვის სოფლებში და ლტოლვილთა საკითხის მოწესრიგება. მთავრობის აზრით ამ ზომების საშუალებით შეიძლებოდა ხელის შეწყობა გადასახლებულთა დაბრუნებისათვის და დახმარება იმ მცხოვრებთათვის, რომელნიც თავის ადგილას რჩებიან. ხოლო იმათთვის, ვისაც უთუოდ სურს გადასახლება, მთავრობა ერთი თვის ვადას ითხოვდა (უწინ განზრახულ 2 კვირის ნაცვლად).

როგორც სჩანს ვეჰიბ-ფაშას 16 (29) აპრილის დეპეშიდან, რომელიც მან პირველი მინისტრის სახელზე გამოგზავნა და მის ცნობებიდან, ყარსის ოლქიდან მიმავალ მცხოვრებლებს ნება ეძლეოდა წაეღო სახლის ყოველგვარი ნივთი და საჭირო სურსათი, ხოლო მთელი მოძრავი და უძრავი ქონება გადაეცა ან გაეყიდა სურვილისამებრ. ამას გარდა მან ზომები მიიღო მცხოვრებლების დასაცავად თავდასხმისაგან: ამასთანავე ოსმალეთის სარდალი ხაზს უსვამს ჩვენს (ოსმალოთა) გულწრფელ გადაწყვეტილებას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სომხებს". ხოლო ვეჰიბ-ფაშას უკანასკნელი დეპეშიდან (2 მაისის) ამ საკითხის შესახებ სჩანს, რომ „ყარსის ევაკუაციის პირობებში ნათქვამია, რომ მცხოვრებლებს, რომელთაც ქალაქში დარჩენა სურთ, შეუძლიათ დარჩნენ იქ საიმპერატორო მთავრობის მზრუნველობის ქვეშ განურჩევლად რასისა და რელიგიისა და ისარგებლებენ იქ ყველა საჯარო უფლებით დანარჩენ ქვეშევრდომებთან ერთად. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, სომხები გამოიქცნენ; აქიდან ცხადია, რომ ან იმ დეკლარაციამ ვერ მიაღწია სომხებამდე ან და არავითარი შთაბეჭდილება არ დასტოვა მათზე, რადგან მათ ფსიხიკაზე ძლიერი, გარეშე გავლენა მოქმედებდა.

ამასგარდა, ჯერ კიდევ ჩვენ მიერ არზრუმის აღების დროს შემჩნეულია, რომ ამგვარი ცნობა, ჩვენმა არმიამ რომ გამოუშვა, არ იყო ქალაქში გამოქვეყნებული: ჩვენი კომანდის შემადგენლობამ ყოველი ზომა მიიღო, რომ აეცდინა მცხოვრებთა ზარდამცემი ლტოლვა, მაგრამ პროპაგანდის წყალობით სომხები სტოვებდნენ მშობელ ადგილებს და გარბოდნენ, მიუხედავად ჩვენი ცდისა და სურვილებისა. ზემო ოქმულიდან ნათელია, რომ ოტომანის მთავრობას არავითარი ბრალი არ მიუძღვის სომეხთა ლტოლვაში და რომ მისი ცდა უნაყოფოდ ჩატარდა. მაშასადამე იმ მცხოვრებლებს, რომელნიც თავის ადგილას რჩებიან, სრულებითაც არ უნდა ჰქონდეთ შიში; რაც შეეხება იმათ, ვინც თავისი სამშობლო დასტოვა, ჩემი წინა წერილიდან სჩანს, რომ ჩვენ მიერ განზრახული ზომები უკვე ცხოვრებაში ტარდება. რაც შეეხება შეიარაღებული ბანდების მოქმედებას, საჭიროდ ვსთვლი გაუწყოთ, რომ ოტომანის მთავრობა და არმიაც ზიზღით უყურებენ ბანდების ორგანიზაციას და დიდს ენერგიას იჩენენ მათ ასალაგმავად. ამას გარდა უნდა აღინიშნოს, რომ რადგან აუცილებელია პირადი მოლაპარაკება და სამხედრო მოსაზრებების გამო ლტოლვილთა დაბრუნება დაპყრობილ ადგილებში, განსაკუთრებით ყარსში, შეუძლებელია, გარდა ოზურგეთის მცხოვრებლებისა, ამ საკითხის გადაჭრა უნდა გადაიდვას ბათომის მოლაპარაკების დაწყებამდე, რომელიც უეჭველად ჩქარა მიგვიყვანს სასურველ კარგ შედეგამდე". 1918 წლის 5 მაისი.

გაზეთების ცნობები

ტფილისში მოსულა გერმანელთა მისსია, ორი ოფიცერი და სამი სალდათი. ამ მისიამ ურთიერთობა დაიჭირა შვეციის მისიასთან, რომელიც ამ სამი კვირის წინ ჩამოვიდა ტფილისში.

—

ნატანების მიმართულებით ომის გამო გაფუჭებული რკინის გზა უკვე გაკეთებულია. მატარებლების მიმოსვლა ბათომსა და ტფილისს შუა შეიძლებოდა ეხლავე დაწყებულიყო, მაგრამ ოსმალეთისა და ამიერკავკასიის მთავრობათა შორის ჯერ არ მომხდარა შეთანხმება თუნდაც ერთი სამგზავრო მატარებლის მიმოსვლის შესახებ. ამ დღეებში, როდესაც მოსაზღვრე ადგილებში ორივე მხარე საბაჟო დაწესებულებებს მოაწყობს, მოჰხდება შეთანხმებაც, რომლის შემდეგაც შესაძლებელი გახდება პირდაპირი სამგზავრო მოძრაობის აღდგენა ტფილისსა და ბათომს შუა.

—

როგორც ამბობენ, ამიერკავკასიაში გერმანიის მთავარ წარმომადგენლად დაინიშნა გრაფი შულენბურგი, რომელიც 1914 წლამდე ტფილისში გერმანიის გენერალურ კონსულად იყო.

—

პირველი შეხვედრა ოსმალეთ გერმანიისა და ჩვენი დელეგაციებისა ბათომში, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რამიშვილს აცნობინებენ, უკვე მოჰხდა.

გამომცემელი
[illegible]
[illegible] მთავარი კომიტეტისა

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. 459

მარტის 25-ს ესე იგი ხარებობის დღეს, ჩემი შვილი

ივანე (ვანიჩკა) ზალდასტანაშვილი

დილითვე გავიდა შინიდან და დღევანდლამდე ვეღარა გავიგერა სად წავიდა, დიდი სურვილი ჰქონდა ჯარში შერიცხვისა, მაგრამ რადგანაც იყო წლოვანობით ჩვიდმეტი წლისა და ისევე სწავლობდა, ნებას არ ვაძლევდი. გთხოვთ დიდის ვედრებით აღმოუჩინოთ ჩვენ დაღონებულ მოხუცებულ მშობლებს შემწეობა, ვინც იცოდეთ მისი ადგილობრივი გარემოება, შეგვატყობინეთ ამ ადრესით: ტფილისი არსენალნოე შოსსე № 21 იოსებ ალექსანდრეს ძე ზალდასტანაშვილს. 469.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ვორონცოვის ქ. № 6.

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუ. № 41. ტელეფ. 14—08. 1082

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
ყოფილი ორდინატორი ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: [illegible] ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—32. 1003

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. [illegible] მისამართი: [illegible] ქ. № 27, [illegible] 1030

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. [illegible] ქ. 12, 9 [illegible] 1002

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი [illegible] ქ. № 11. 426

ძ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრეს ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცების 5—7 ს. საღამოს.
[illegible] და [illegible] ქუჩების კუთხე, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5\frac{1}{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სამკურნალოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის.

ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

[illegible]ფეტეხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11\frac{1}{2}$ ს.

მ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საშვებიო ავადმყ.

მ. მ. ბენიაშოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

საღამოთი:

ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევს იმ პირებს, რომელთაც სურთ იჯარით აიღონ ქალაქის ქუჩების ქვებით დაფენა და აგრეთვე ქვისა და ქვიშის მიწოდება. საჯარო ვაჭრობა ამ მუშაობის აღების გარშემო დანიშნულია 14 მაისს დღის 12 საათზე ქალაქის გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებაში. კონდიციის გაცნობა შეიძლება ყოველდღე იქვე, სამსახურის დროს. 1158

ქართველთა სამხედრო კავშირის ცენტრალური კომიტეტი

ცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ კომიტეტის ჩვეულებრივი სხდომები იმართება ორშაბათს და ხუთშაბათს საღამოს 7 საათიდან ქ. ს. კ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში.

„სახალხო საქმის"
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „
გრიშელი წ. I	3 „
ქართველი მწერლები.	2 „
უცხოეთის „	2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	— 60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე".	1 „ 20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო"	— 40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	— 50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შეიძლება მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.